ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ე. ღ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.06.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 080/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატების თ. ფ.-ის /სიითი N----/ და ბ. ფ.-ის /სიითი N----/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატების თ. და ბ. ფ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან 2018 წლის 25 ოქტომბერს სამოქალაქო დავაზე მომსახურების მისაღებად მიმართა ადვოკატებს თ. და ბ. ფ.-ებს, გადასცა მათ საქმის მასალები, მინდობილობა და მომსახურების საზღაურის ნაწილი - 100 ლარი. ამის შემდეგ კლიენტს გაუჭირდა ადვოკატებთან დაკავშირება, ვინაიდან ისინი არ პასუხობდნენ მის სატელეფონო ზარებს. საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატებმა დაუბრუნონ როგორც მის მიერ გადახდილი თანხა, ასევე დოკუმენტაცია.

1.2 2019 წლის 28 ოქტომბერს ე. ღ.-მა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატების თ. და ბ. ფ.-ების მიმართ მიმდინარე დისციპლინური წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან ადვოკატებთან აღადგინა ურთიერთობა და მათ გააგრძელეს საქმისწარმოება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება**

3.1 ადვოკატი თ. ფ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №----/ სამოქალაქო სპეციალიზაციით, ბ. ფ. /სიითი №----/ კი საერთო სპეციალიზაციით.

3.3 ე. ღ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 19 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2019 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატების თ. და ბ. ფ.-ების მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 2019 წლის 28 ოქტომბერს ე. ღ.-მა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატების თ. და ბ. ფ.-ების წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინური წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან ადვოკატებთან მიაღწია შეთანხმებას.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატების თ. და ბ. ფ.-ების მიმართ წყდება დისციპლინური წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №080/19 ადვოკატ თ. ფ.-ის /სიითი №----/ და ბ. ფ.-ის /სიითი №----/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/